



eDocument – საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა არის საჯარო დაწესებულებებში საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ერთი-ერთი ყველაზე ინოვაციური, სრულყოფილი, პროგრესული და მძლავრი პროდუქტი. მისი მიზანია საქმისწარმოების პროცესების მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია.

სისტემა უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურ ელექტრონულ მართვას და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი.

eDocument გამოირჩევა შემდეგი შესაძლებლობებით: მარტივი და მომხმარებელზე მორგებული ინტერფეისი; საკანცელარიო პროგრამების სტანდარტებთან თავსებადობა; მარტივი ინტეგრირება სხვა სისტემებთან; MS Office-თან ინტეგრაცია; შაბლონების მართვა; დოკუმენტების კატეგორიების მართვა კანცელარიის თანამშრომლების მიერ; დამოუკიდებელი ქვეკანცელარიის არსებობის შესაძლებლობა; დავალებების ეფექტური მართვა - მათი განაწილების შესაძლებლობა; შესრულების მიმდინარეობის კონტროლი; დავალებებზე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა; ელექტრონული დადასტურების და ხელმოწერის შესაძლებლობა; დოკუმენტის ვერსიების კონტროლი; ფაქსიმილია; დავალებებისა და დოკუმენტების ძებნის მოქნილი შესაძლებლობა; თანამდებობრივი ისტორია; დელეგირება; დოკუმენტების არქივი; ადრესატთა სქემები შიდა ტიპის დოკუმენტებში (სამსახურებრივი, ბრძანებები, განცხადებები და ა.შ.) ცირკულარული წერილების მომზადებისას (რამდენიმე მიმღების არსებობის შემთხვევაში); სქემის გამოყენება რეზოლუციის დადებისას - გადაწერა სქემით; რეზოლუციის რედაქტირება; სქემის გამოყენება ვიზაზე გაგზავნისას; ხელმოწერაზე გაგზავნის ფუნქციონალი; ინდივიდუალური სქემა ყველა მომხმარებლისთვის; შექმნილი და დამახსოვრებული სქემების შეუზღუდავი რაოდენობა; შეტყობინებები - მოვლენები და სიახლეები; დავალებების, დოკუმენტების სია თითოეულ პუნქტში; ჩატვირთული დოკუმენტების რეესტრის მონაცემები; ძებნის მექანიზმი; შესრულებული და შეუსრულებელი დოკუმენტების კონტროლი; „პირადი ფილტრები“; ძებნა და კონტროლი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმისწარმოების ამ ავტომატიზებულ სისტემას სხვა ანალოგიურ ელექტრონულ პროდუქტებთან მიმართებაში გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორიც არის:

- დროის დაზოგვა;
- დავალებების ეფექტური მართვა;
- მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა;
- დანერგვისა და განახლების მოქნილი სისტემა.

eDocument-ით სარგებლობენ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახელმწიფო ხაზინის, შემოსავლების სამსახურის, საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლები, ჯამში 4 ათასამდე მომხმარებელი. სისტემა, აგრეთვე დანერგილია 22 სახელმწიფო ორგანიზაციაში.

